ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონები!

ტალინი, 1 მარტი. გუშინ აქ დამთავრდა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ნახევარი. იგი მეტად საინტერესო და დრამატული გამოდგა. საკმარისია აღინიშნოს, რომ ვერც ერთმა შარშანდელმა ჩემპიონმა ვერ შეინარჩუნა უმაღლესი ტიტული.

უმჩატეს წონაში (48 კგ) სსრ კავშირის ჩემპიონი პირველად გახდა ბარნაულელი ნ. ფალკოვი („სპარტაკი"). მან ძნელი გზა განვლო საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურამდე. საკმარისია აღინიშნოს, რომ ბარნაულელმა დებიუტანტმა პირველივე წრეში დაამარცხა შარშანდელი ჩემპიონი, ვოლგოგრადელი თანაკლუბელი ვ. პერნიცკი.

ქვემსუბუქ წონაში (57 კგ) პირველად მოიპოვა ოქროს მედალი მოსკოველმა ა. კიმსტაჩმაც („ლოკომოტივი"). ამ წონის მთავარმა ფავორიტმა და შარშანდელმა გვირგვინოსანმა, ერევნელმა ჟ. ზახარიანმა (ვ. პერნიცკისა არ იყოს) პირველივე წრეში წააგო ბრძოლა და შემდეგ ვერაფრით ვერ აინაზღაურა დანაკლისი.

პირველ ქვესაშუალო წონაში (68 კგ) ოქროს მედალი მოიპოვა მსოფლიოს სამგზის და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, თბილისელმა რ. რურუამ („კოლმეურნე"), რომელიც შარშან საკავშირო ჩემპიონატში არ გამოდიოდა (მაშინ უძლიერესის წოდება მოიხვეჭა ზაპოროჟიელმა ი. გრიგორიევმა). მარცხის სიმწარე რურუამაც იწვნია პირველივე წრეში. მაგრამ, სხვა ჩემპიონებისგან განსხვავებით, ამ წაგებამ იგი კიდევ უფრო „გააბრაზა" და აი, შედეგიც — რურუა გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეა.

თ. მაჭავარიანმა (თბილისი, „განთიადი") სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული პირველად 4 წლის წინ მოიპოვა. მას შემდეგ იგი ისევ ჟინიანად მიიწევდა სანუკვარი ოქროს მედლისკენ, მაგრამ 1966 წლის წარმატების განმეორება ვერაფრით ვერ შეძლო. და აი, მაჭავარიანმა კიდევ გაგვახარა თავისი ნიჭის თაყვანისმცემლები — ძნელ და საპატიო ბრძოლაში ოქროს მედალი დაისაკუთრა პირველ საშუალო წონაში (82 კგ).

ჩემპიონატის მეხუთე ლაურეატია ვორონეჟელი ვ. მერკულოვი, რომელმაც შარშანდელი „ვერცხლი" „ოქროზე" გადაცვალა და უძლიერესი გახდა ქვემძიმე წონაში (100 კგ).

ხუთ წონით კატეგორიაში 2 ჩემპიონი — საქართველოს მოჭიდავეებს კარგი ნადავლი მიაქვთ ტალინიდან. ახლა ჯერი ჩემპიონატის ომსკის ნახევარზეა, რომელიც 5 მარტს დაიწყება.





სურათებზე: სსრ კავშირის ჩემპიონები რ. რურუა (მარცხნივ) და თ. მაჭავარიანი.

ფოტო ზ. ქვათაძისა და მ. ზარგარიანისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№43 (4037) 3 1970 წ. მარტი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# 16 ფინალისტის სამზადი



## მექსიკური მინდვრების „მოსინჯვა"

გვადალახარა, 2 მარტი. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა აქ ანგარიშით 3:2 დაამარცხა მექსიკის ჩემპიონი „გვადალახარა".

ადგილობრივი გუნდის მწვრთნელებმა ამ მატჩში სათამაშოდ ქვეყნის ნაკრების ოთხი წევრი მიიწვიეს და, ფეხბურთის ექსპერტთა უმრავლესობის აზრით, „გვადალახარა" თავისი სიძლიერით ქვეყნის ნაკრებს არ ჩამოუვარდებოდა.

საბჭოთა გუნდი მინდორზე ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: რუდაკოვი, ძოძუაშვილი, შესტერნიოვი, ლოვჩევი, კაპლიჩნი, სერებრიანიკოვი, კისელიოვი, პაპაევი, ნოდია, ბიშოვეცი, ხმელნიცკი.

48-ე წუთამდე ორივე გუნდი მძაფრად, მაგრამ უშედეგოდ უტევდა. და აი, შესტერნიოვმა მეტოქის საჯარიმო მოედნისკენ სწრაფი რეიდი განახორციელა და მისი მიწოდებით ბიშოვეცმა ანგარიში გახსნა.

შესვენების შემდეგ სულ 3 წუთი იყო გასული, როცა კაპლიჩნიმ კარგად გამოიყენა პაპაევის გადაცემა და „გვადალახარას" კარში მეორე ბურთი გაიტანა. სულ მალე შესტერნიოვმა გაიმეორა რეიდი, ბურთი ნოდიას გადააწოდა და — 3:0.

ასეთი უპირატესობის შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელები მოდუნდნენ, დამშვიდდნენ და უპირატესობაც მექსიკელთა მხარეს გადავიდა: ჯერ ერედამ, მერე კი კალდერონმა რუდაკოვის კარში 2 ბურთი გაიტანეს.

მატჩის შემდეგ მექსიკის ჩემპიონის მწვრთნელმა პონჩემ განაცხადა: „ჩვენ ყველაფერი ვილონეთ, რაც შევძელით. საბჭოთა ფეხბურთელები ძალიან კარგად თამაშობდნენ და მე ვფიქრობ, გუნდი სათანადოდ მოემზადება მსოფლიო ჩემპიონატისთვის".

სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელს კაჩალინს მიაჩნია, რომ მის ბიჭებს ყველაფერი არ გამოუვიდათ. მისი აზრით, ფეხბურთელებმა იჩქარეს დამშვიდება და მეტოქეს ტყუილუბრალოდ გადაააბარეს ინიციატივა, თანაც, მთელი რიგი შეცდომები დაუშვეს.

ამრიგად, სსრ კავშირის ნაკრებმა დაამთავრა დიდი სამზადისის პირველი ეტაპი. გუნდი სამშობლოში გაფრინდა.

● დონის როსტოვი, 1 მარტი. ადგილობრივ სპორტის სასახლეში ხუთ დღეს მიმდინარეობდა „ა" კლასის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის IV ტური. აი, მისი შედეგებიც: ასკ (დონის როსტოვი), „ბურევესტნიკი" (ალმა-ათა) — 4-4 ქულა, „ბურევესტნიკი" (ოდესა), „ზვეზდა" (ვოროშილოვგრადი), აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტის გუნდი (ბაქო) — 2-2, „ლოკომოტივი" (კიევი) — 1. ტური მოულოდნელობებით იყო აღსავსე. მაგალითად, მასპინძლებმა ფარ-ხმალი დააყრევინეს ქვეყნის ჩემპიონებს — ალმა-ათის ბურევესტნიკელებს (3:2), მაგრამ ასეთივე ანგარიშით წააგეს ოდესის „ბურევესტნიკთან", რომელსაც მანამდე მხოლოდ 1 ქულა ჰქონდა.

● კრასნოიარსკი, 1 მარტი. აქ დამთავრდა „175-ანებისთვის" ყინულზე მოტორბოლაში სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალური შეჯიბრება. უძლიერესის წოდება მესამედ მოიხვეჭა ადგილობრივმა სპორტსმენმა ვ. სვინკომ. თუმცა ტურნირში ქვეყნის ბევრი ქალაქის მოტომრბოლელები მონაწილეობდნენ, 7 პირველი ადგილი კრასნოიარსკელებმა დაიკავეს. VIII ადგილზეა მინსკელი ვ. დოვნერი.

● ომსკი, 1 მარტი. როცა ადგილობრივი მოტოდრომის ფინიშის სწორზე თოვლის მტვერი დაცხრა, დიქტორმა 350 კბ სმ მოცულობის მოტოციკლებით მოასპარეზეთა შორის სსრ კავშირის ჩემპიონად ახალგაზრდა ჩიტელი სპორტსმენი ს. ტარაბანკო გამოაცხადა. ყინულის ბილიკზე გამართულ მძაფრ ბრძოლაში ციმბირელმა მოსკოვის, ჩებოქსარის, კიროვისა და იჟევსკის სახელგანთქმული მოტომრბოლელები ჩამოიტოვა და სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა.

● სტოკჰოლმი, 1 მარტი. სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის წინ თავისი შვედური ტურნეს მეორე მატჩი გამართა ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდთან. შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 2:2. საბჭოთა კავშირისა და შვეციის ნაკრები გუნდების პირველ მატჩში გაიმარჯვეს სტუმრებმა — 9:2.

● მოსკოვი, 1 მარტი. მოტობურთელთა ზამთრის პირველ საკავშირო ტურნირში ყველას აჯობა ელისტის „კომეტამ". აქ გამართულ ფინალურ მატჩში ელისტელებმა ანგარიშით 5:2 დაამარცხეს სსრ კავშირის ოთხგზის ჩემპიონი — ჩერკასკის „დომბაი". „კომეტის" მოტოციკლისტებმა ჟურნალის „ზა რულიომ" რედაქციის პრიზი დაიმსახურეს.

● ლაჰტი (ფინეთი), 1 მარტი. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, გორკელმა „მფრინავმა მოთხილამურემ" გ. ნაპალკოვმა კვლავ დაამტკიცა თავისი მაღალი რეპუტაცია — ყველას აჯობა აქ გამართულ საერთაშორისო სათხილამურო თამაშებში. ნაპალკოვი 78,5 და 75,5 მეტრზე გადახტა და II ადგილზე დატოვა ოლიმპიური ჩემპიონი ბ. ვირკოლა (ნორვეგია). III ადგილი დაიკავა ქართველმა მხტომელმა კ. წაქაძემ.

● ფალუნი (შვეცია), 1 მარტი. 70-მეტრიან ტრამპლინზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში გაიმარჯვა გრენობლის თეთრი ოლიმპიადის ჩემპიონმა, ლენინგრადელმა „მფრინავმა მოთხილამურემ" ვ. ბელოუსოვმა. II ადგილზეა ი. მორკი (ნორვეგია), III — ი. მატოუში (ჩეხოსლოვაკია).

● ჰელსინკი, 1 მარტი. ფინეთის მძლეოსანთა ღია ჩემპიონატში ბრწყინვალე შედეგს მიაღწია შვედმა ჰოკით მხტომელმა ჩ. იზაკსონმა. მან 528 სმ გადალახა, რაც ევროპის ახალი მიღწევაა დარბაზებისთვის.

## სპასკი — ფიშერი

მოსკოვი, 2 მარტი (ტელეფონით). ჭადრაკის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმმა გუშინწინ იმსჯელა სსრ კავშირ— „დანარჩენი მსოფლიოს" საჭადრაკო მატჩში საბჭოთა გუნდის შემადგენლობაზე. გუნდი ასეთი შემადგენლობით დაამტკიცეს (დაფების მიხედვით): ბ. სპასკი, ტ. პეტროსიანი, ვ. კორჩნოი, ლ. პოლუგაევსკი, ე. გელერი, ვ. სმისლოვი, მ. ტაიმანოვი, მ. ბოტვინიკი, მ. ტალი, პ. კერესი, სათადარიგო მოთამაშეები ლ. შტეინი, დ. ბრონშტეინი. გუნდის კაპიტნად დაინიშნა სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე დ. პოსტნიკოვი.

ამრიგად, 29 მარტს ბელგრადში დაიწყება „საუკუნის მატჩი", როგორც სსრ კავშირ — „დანარჩენი მსოფლიოს" გუნდების შეხვედრას უწოდებს უცხოური პრესა. მეტოქენი ოთხ-ოთხჯერ ეთამაშებიან ერთმანეთს. მატჩი 6 აპრილამდე გასტანს.

აი, როგორ დაწყვილდნენ მეტოქენი: სპასკი — რ. ფიშერი (აშშ), პეტროსიანი — ბ. ლარსენი (დანია), კორჩნოი — ლ. პორტიში (უნგრეთი), პოლუგაევსკი — ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), გელერი — ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია), სმისლოვი—ს. რეშევსკი (აშშ), ტაიმანოვი—ვ. ულმანი (გდრ), ბოტვინიკი — მ. მატულოვიჩი (იუგოსლავია), ტალი — მ. ნაიდორფი (არგენტინა), კერესი — ბ. ივკოვი (იუგოსლავია).

„დანარჩენი მსოფლიოს" გუნდში სათადარიგო მოთამაშეები არიან ფ. ოლაფსონი (ისლანდია) და კ. დარგა (გფრ). გუნდის კაპიტანია მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ეივე.

## რეკორდები

სიდნეი, 1 მარტი. 16 წლის კარინ მორასმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 9.09,1. ამ საუცხოო შედეგს ნორჩმა ავსტრალიელმა სპორტსმენმა 50-მეტრიან აუზში მიაღწია, რომელიც ზღვის წყლით იყო სავსე. ახალი რეკორდი 1,3 წამით სჯობს ამერიკელი დ. მაიერის ძველ მსოფლიო რეკორდს, რომელიც 1968 წლის აგვისტოდან იდგა ურყევად.

მსოფლიო რეკორდის დამყარებამდე მორასმა თავისი ქვეყნის რეკორდები გააუმჯობესა 200 და 400 მეტრზე ცურვაში. მისი ბოლო მიღწევა პირველი მსოფლიო რეკორდია, რომელიც 1965 წლის შემდეგ დაამყარა ავსტრალიელმა მოცურავე ქალმა.

ცურვის ისტორიაში მესამე შედეგი აჩვენა 15 წლის გრეჰემ ვინდიტმა 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით — 16.23,1.

ბუდაპეშტი, 2 მარტი. უნგრეთისა და ინგლისის ძალოსანთა აქ გამართულ მატჩში (დამაჯერებლად გაიმარჯვეს მასპინძლებმა) უნგრელმა ი. ფიოლდიმ (ქვემსუბუქი წონა) მსოფლიო რეკორდი დაიბრუნა აჭიმვაში — 131,5 კგ. ბულგარელი მ. კუცევის ძველი რეკორდი კილოგრამნახევრით დამძიმდა.

პოდოლსკი, 2 მარტი. „ტრუდის" ძალოსანთა ტურნირში პერვოურალსკელმა ვ. კოლოტოვმა თავისთვის ახალ — ქვემძიმე წონაში 2,5 კგ-ით გააუმჯობესა ტალინელი ი. ტალტსის საკავშირო რეკორდი სამჭიდში. ახალი რეკორდია 515 კგ. (170+150+195).

# სკოლა — სპორტული ცენტრი

გურჯაანის რაიონი დიდი ხანია სპორტული მიღწევებით ერთ-ერთ მოწინავედ ითვლება რესპუბლიკაში. რაიონის თითქმის ყველა სოფელი აქტიურ სპორტულ საქმიანობაშია ჩაბმული, ყველას შეაქვს თავისი წვლილი საერთო წარმატებაში. მაგრამ ამ საერთო ფონზეც განსაკუთრებით გამოირჩევა შაშიანელ ფიზკულტურელთა მიღწევები.

სპორტულ ცენტრად ამ სოფელში სკოლა ითვლება და, ბუნებრივია, ჩვენც, პირველ ყოვლისა, აქეთ ავიღეთ გეზი. დარბაზში შესვლისთანავე ვიგრძენით საქმიანი ატმოსფერო. ხალიჩაზე თავისუფალი სტილის მოჭიდავენი ვარჯიშობდნენ. ფიზკულტურის მასწავლებელი ჯემალ ბიწკინაშვილი გულისყურით ადევნებდა თვალს ახალბედა მოჭიდავეებს.

— ჩვენს სოფელს ჭიდაობის კარგი ტრადიციები აქვს, — გვითხრა ჯემალმა. — ბევრმა შაშიანელმა ასახელა მშობლიური სოფელი. საკმარისია გავიხსენოთ საბჭოთა კავშირის ექს-ჩემპიონი სამბოში ა. მწარიაშვილი. რაიონის ფარგლებს გარეთაც კარგად იცნობენ ქართული ჭიდაობის ოსტატებს ზ. მწარიაშვილს, კ. ხოტენაშვილს, თ. ჩეკურიშვილსა და სხვებს. მაგრამ აქამდე მოჭიდავეთა წვრთნას მაინც შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. არ გვყავდა კვალიფიციური მწვრთნელი, არ იყო ვარჯიშის საშუალება დარბაზის უქონლობის გამო. დღეს მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა და გურჯაანის სპორტულმა სკოლამ ჩვენზე სწორედ ამიტომ შეაჩერა არჩევანი, როცა თავისუფალი ჭიდაობისა და სამბოს სექციების გახსნა გადაწყვიტა. მომავალმა ფალავნებმა სულ ცოტა ხნის წინ დაიწყეს ვარჯიში და უკვე რამდენიმე პერსპექტიული მოჭიდავე გამოვლინდა. ესენი არიან: ა. ჭარაქაშვილი, ე. აბელაშვილი, მ. გოგიშვილი, მ. ჩეკურიშვილი და სხვ.

სკოლაში თავისუფალი ჭიდაობა და სამბო ახალი ხილია, სხვა სახეობებში კი შაშიანელი მოსწავლეები კარგა ხანია წარმატებით გამოდიან შეჯიბრებებში. ფრენბურთელ გოგონებს 1959 წლის შემდეგ რაიონში ტოლი არა ჰყავთ. ცხადია, რაიონის ნაკრებ გუნდშიც შაშიანის სკოლიდან ყველაზე მეტი წარმომადგენელი გამოდის. ბოლო წლებში გოგონებს ბიჭებიც ამოუდგნენ მხარში. სკოლის ღირსებას რაიონულ შეჯიბრებებში წარმატებით იცავენ კალათბურთელები და მძლეოსნები.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ძალოსნობის სექცია. თავად ჯ. ბიწკინაშვილს ბევრჯერ ღირსეულად დაუცავს რესპუბლიკის სახელი. ის რამდენიმეჯერ იყო შეყვანილი სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრების შემადგენლობაში და წარმატებითაც გამოვიდა ვენისა თუ პრაღის საერთაშორისო ტურნირებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბიწკინაშვილის ბოლო გამარჯვება ბერლინში, სოციალისტური ქვეყნების „შრომითი რეზერვების“ ტიპის ორგანიზაციათა შეჯიბრებაში. ცნობილ სპორტსმენს ძალოსნობის დიდმა სიყვარულმა უკარნახა აღეზარდა მომავალი ათლეტები მშობლიურ სოფელში. შრომამ ნაყოფი მალე გამოიღო. „კოლმეურნის“ შარშანდელ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში, რომელიც ზუგდიდში გაიმართა, გურჯაანის რაიონის ნაკრები პირველად გამოვიდა სრული შემადგენლობით. გუნდში ყველა ჯ. ბიწკინაშვილის აღზრდილი იყო.

შაშიანის საშუალო სკოლაში სამერმისოდ დიდი გეგმები აქვთ დასახული. სულ ცოტა ხანში კრივისა და ქართული ჭიდაობის მოყვარულებსაც მიეცემათ ვარჯიშის საშუალება. განზრახულია მაგიდის ჩოგბურთისა და ჭადრაკის სექციების შექმნა. ახლა სკოლის ყველა სპორტსმენი დიდი გულმოდგინებით ემზადება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სპარტაკიადისთვის.

გ. ჩეკურიშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოფ. შაშიანი,
გურჯაანის რაიონი.

* * *

სურათზე: ხალიჩაზე არიან შაშიანელი მოჭიდავეები.



# მსოფლიო რეკორდები

ცურვა

1970 წლის 1 მარტისთვის

## ქალები

| | | | |
|---|---|---|---|
| **თავისუფალი სტილი** | | | |
| 100 მ | 58,9 | დ. ფრეზერი (ავსტრალია) | 1964 |
| 200 მ | 2.06,7 | დ. მაიერი (აშშ) | 1968 |
| 400 მ | 4.24,5 | დ. მაიერი (აშშ) | 1968 |
| 800 მ | 9.10,4 | დ. მაიერი (აშშ) | 1968 |
| **ბრასი** | | | |
| 100 მ | 1.14,2 | კ. ბოლი (აშშ) | 1968 |
| 200 მ | 2.38,5 | კ. ბოლი (აშშ) | 1968 |
| **ბატერფლაი** | | | |
| 100 მ | 1.04,5 | ა. კოკი (ჰოლანდია) | 1965 |
| 200 მ | 2.21,0 | ა. კოკი (ჰოლანდია) | 1967 |
| **ზურგზე** | | | |
| 100 მ | 1.05,6 | კ. მიური (სამხ. აფრ. რესპ.) | 1969 |
| 200 მ | 2.21,5 | ს. ეტვუდი (აშშ) | 1969 |
| **კომპლექსური** | | | |
| 200 მ | 2.23,5 | კ. კოლბი (აშშ) | 1968 |
| 400 მ | 5.04,7 | კ. კოლბი (აშშ) | 1968 |
| **ესტაფეტა** | | | |
| 4×100 მ | 4.01,0 | აშშ-ს ნაკრები | 1968 |
| **კომბინირებული** | | | |
| 4×100 მ | 4.28,8 | აშშ-ს ნაკრები | 1968 |

## ვაჟები

| | | | |
|---|---|---|---|
| **თავისუფალი სტილი** | | | |
| 100 მ | 52,2 | მ. უენდენი (ავსტრალია) | 1968 |
| 200 მ | 1.54,3 | დ. შოლანდერი (აშშ) | 1968 |
| 400 მ | 4.04,0 | ჰ. ფასნახტი (გფრ) | 1969 |
| 1500 მ | 16.04,5 | მ. ბარტონი (აშშ) | 1969 |
| **ბრასი** | | | |
| 100 მ | 1.05,8 | ნ. პანკინი (სსრ კავშირი) | 1969 |
| 200 მ | 2.25,4 | ნ. პანკინი (სსრ კავშირი) | 1969 |
| **ბატერფლაი** | | | |
| 100 მ | 55,6 | მ. სპიტცი (აშშ) | 1968 |
| 200 მ | 2.05,7 | მ. სპიტცი (აშშ) | 1967 |
| **ზურგზე** | | | |
| 100 მ | 57,8 | რ. მატესი (გდრ) | 1969 |
| 200 მ | 2.06,4 | რ. მატესი (გდრ) | 1969 |
| **კომპლექსური** | | | |
| 200 მ | 2.09,6 | გ. ჰოლი (აშშ) | 1969 |
| 400 მ | 4.33,9 | გ. ჰოლი (აშშ) | 1969 |
| **ესტაფეტა** | | | |
| 4×100 მ | 3.31,7 | აშშ-ს ნაკრები | 1968 |
| 4×400 მ | 7.52,1 | აშშ-ს ნაკრები | 1968 |
| **კომბინირებული** | | | |
| 4×100 მ | 3.54,9 | აშშ-ს ნაკრები | 1968 |

# ასპარეზობენ ქალები

1 მარტს ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში გაიხსნა 8 მარტისადმი მიძღვნილი თბილისის ქალთა XV ტრადიციული სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობენ „დინამოს“, „ლოკომოტივის“, „განთიადის“, „ბურევესტნიკის“, „სპარტაკის“, „შრომითი რეზერვებისა“ და ქალაქის განათლების განყოფილების გუნდები.

სპარტაკიადის პროგრამით, ასპარეზობა ტარდება 9 სახეობაში: კალათბურთში, სპორტულ ტანვარჯიშში, მხატვრულ ტანვარჯიშში და სხვ.

შეჯიბრება გახსნეს განათლების განყოფილებისა და „შრომითი რეზერვების“ კალათბურთელებმა. მატჩი დამთავრდა მოსწავლეთა გამარჯვებით — 69:43.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: „ბურევესტნიკი“ — „დინამო“ 50:46, „განთიადი“ — „სპარტაკი“ 49.23.

უნდა აღინიშნოს „დინამოსა“ და შარშანდელი სპარტაკიადის ჩემპიონის — „ბურევესტნიკის“ შეხვედრა, სადაც დინამოელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ძლიერ მეტოქეს და შეხვედრის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე ანგარიშიც კი გაათანაბრეს. მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვებისთვის.

სპარტაკიადა გრძელდება. ხ. თიკანაძე.

XXXI

# 14 წლის შემდეგაც

ფოთი, 2 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის VII ტური ასეთი შედეგებით აღინიშნა: გედევანიშვილი — ჩიქოვანი 0:1, ნეურონოვი — ლევინი 0:1, ჯანოევი — ბოკუჩავა 1:0. პარტიები: გურგენიძე — იზვოზჩიკოვი, ბუსლაევი — ტალი, უბილავა — ჩეჩელიანი გადაიდო, ხოლო ჯინჯიხაშვილი — გიორგაძის შეხვედრა არ შედგა უკანასკნელის ავადმყოფობის გამო. ისვენებდა მიქაძე.

გუშინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. აი, მისი შედეგებიც: უბილავა — იზვოზჩიკოვი 1:0, ტალი — უბილავა 0,5:0,5, ჯინჯიხაშვილი — ჩიქოვანი 0,5:0,5, ჯანოევი — გედევანიშვილი 1:0, ნეურონოვი — ჯანოევი 0:1, ჩეჩელიანი — მიქაძე 1:0, ბუსლაევი — ტალი 1:0. გურგენიძე — გიორგაძე გადაიდო.

განვლილი ორი დღის სიურპრიზი ტალის წაგება გახლდათ. ბუსლაევი მთელს პარტიას მეთოდურად თამაშობდა, მაშინ, როცა ტალი თავს მოვალედ თვლიდა გაერთულებინა პოზიცია. თბილისელმა ოსტატმა გაუძლო ცდუნებას, არ აჰყვა დიდოსტატს, გაცვალა შემტევი ფიგურები და უკეთესი ენდშპილი მიიღო. ეს უპირატესობა მეორე დღეს მან გამარჯვებამდე მიიყვანა. საინტერესოა, რომ ბუსლაევმა მეორედ მოუგო ტალს: პირველად 14 წლის წინათ გაიმარჯვა თბილისში.

მოულოდნელად შემოტრიალდა გურგენიძე — იზვოზჩიკოვის პარტიის ჩარხი. გურგენიძეს თავიდან შესანიშნავი პოზიცია ჰქონდა. იერიშის დაწყების წინ მას გამორჩა იზვოზჩიკოვის ლამაზი ტაქტიკური დარტყმა და განსაცდელში აღმოჩნდა. თავდადებულმა ბრძოლამ ვერ შეამსუბუქა მისი დაცვა. პარტია გადაიდო იზვოზჩიკოვისთვის მოსაგებ პოზიციაში. გიორგაძესთან გადატოვებულ პარტიაში გურგენიძეს ოდნავ უარესი მდგომარეობა აქვს.

უბილავა მოგების შანსს ინარჩუნებს ჩეჩელიანთან გადადებულ პარტიაში.

ბევრი შეხვედრა კვლავ დაუმთავრებელი დარჩა.

7 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: რ. ჯინჯიხაშვილი — 5,5 ქულა და 1 გადატოვებული პარტია, ბ. გურგენიძე — 5 (2), ა. ბუსლაევი — 5, ს. ჩეჩელიანი — 4 (1), ჟ. უბილავა — 3,5 (2), დ. ჯანოევი — 3,5, მ. ტალი — 3 (1).

ი. ლოლუა,
ჩემპიონატის მთავარი არბიტრი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

# თასი — მომავალ ინჟინრებს

ავჭალის სასროლეთზე დამთავრდა თბილისის უმაღლეს სასწავლებელთა პირველობა ტყვიის სროლაში. შვიდდღიანი შეჯიბრების შემდეგ საერთო პირველობა და გარდამავალი თასი მოიპოვა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნაკრებმა. II ადგილი დაიკავა უნივერსიტეტის გუნდმა, III — ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა.

ვაჟებში გუნდური გამარჯვება დარჩა მომავალ ინჟინერთა ნაკრებს (სპორტის ოსტატები ს. ფარულავა, ვ. სკრინიკოვი, ლ. ოსტრიკოვი, მ. ჟამურაშვილი, ხ. კვანტალიანი, ოსტატობის კანდიდატები ი. შაჩენკო, ლ. ქაჯაია, ვ. მასალოვი). სამაგიეროდ, ქალებში ყველას აჯობა უნივერსიტეტის გუნდმა (სპორტის ოსტატები ს. ბუჩუკური, მ. ღვინერია, ოსტატობის კანდიდატები ნ. გორდეზიანი, ვ. კერნოჟიცკაია, მეორეთანრიგოსნები მ. მამუკაშვილი, დ. გელაშვილი).

პირად ჩათვლაში ყველაზე მეტი I ადგილი (4) მოიპოვეს უნივერსიტეტის მსროლელებმა.

ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენებმა სამი I ადგილი მოიგეს (ერთი — სპორტის ოსტატმა ე. მალხასიანმა და ორიც — სპორტის ოსტატმა ე. კარტაშიანმა).

პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს ორი I ადგილი ხვდა და ორივე სპორტის ოსტატმა ო. კუდრიავცევამ დაისაკუთრა. სამედიცინო ინსტიტუტსაც ჰყავს ჩემპიონი. ესაა სპორტის ოსტატი მ. პაპავა.

შეჯიბრება ორგანიზებულად ჩატარდა. ბრძოლა უფრო საინტერესო იქნებოდა, ცეცხლის ხაზზე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის გუნდები რომ გამოსულიყვნენ.

გაგაცნობთ შეჯიბრების ტექნიკურ შედეგებს.

**მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლა.** ქალები. ს. ბუჩუკური (თსუ) — 563 ქულა, ვ. პანკოვა (სპი) — 547, ნ. ერმიშიანი (ფიზკულტურის ინსტიტუტი)—538; ვაჟები. ე. მალხასიანი (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 563, ლ. ოსტრიკოვი—561, ს. ფარულავა (ორივე — სპი) — 559.

**მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებზე სროლა.** ქალები. 30 გასროლა. მ. ღვინერია (თსუ) — 260, ო. კუდრიავცევა — 256, ტ. კობოსნიძე (ორივე — სპი) — 254; ვაჟები. 60 გასროლა. მ. პაპავა (სამედიცინო ინსტიტუტი) — 548, ე. კარტაშიანი (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 545, მ. ჟამურაშვილი (სპი) — 542.

**მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სილუეტებზე სწრაფსროლა.** ქალები. კუდრიავცევა—577, ღვინერია — 570, ტ. კობოსნიძე — 556; ვაჟები. კარტაშიანი — 583, ს. სტრეკალოვი (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 580, ჟამურაშვილი — 580.

**მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტზე 60 გასროლა.** ქალები. კუდრიავცევა — 577, ტ. კობოსნიძე — 567, ღვინერია — 556.

**რევოლვერ - პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტზე 60 გასროლა.** ვაჟები. კარტაშიანი — 582, სტრეკალოვი — 581, ჟამურაშვილი — 576.

თ. ლეკიშვილი,
სპორტის ოსტატი.

# წერილი რედაქციას

შარშან, 4 ივნისს სამტრედიაში მიმდინარეობდა მატჩი საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში ადგილობრივ „ლოკომოტივსა“ და მახარაძის რაიონის „ლაითურს“ შორის. თამაში დასასრულს უახლოვდებოდა, როცა მახარაძელებმა ჩვენს კარში ბურთი გაიტანეს. არბიტრის გადაწყვეტილება მე არასწორად მივიჩნიე და ჩავიდინე საბჭოთა სპორტსმენისთვის ყოვლად შეუფერებელი საქციელი: შეურაცხყოფა მივაყენე მსაჯს.

ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ იმსჯელა ჩემს დანაშაულზე და შესაფერისი მსჯავრიც გამომიტანა. მას შემდეგ 9 თვე გავიდა. მე სრული პასუხისმგებლობით ვგრძნობ ჩემს დანაშაულს, რომელიც ალელვების დროს ჩავიდინე. ვგრძნობ ჩადენილი საქციელის სიმძიმეს, ბოდიშს ვიხდი საჯაროდ და პირობას ვდებ, რომ მომავალში მსგავსი რამ არ გამეორდება. ჩემი თამაშითა და ყოფაქცევით ვიქნები სამაგალითო მინდორზეც და ყოველდღიურ ცხოვრებაშიც.

ეს გულწრფელი აღიარება და შუამდგომლოთ ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის წინაშე დამიშვან სამტრედიის „ლოკომოტივის“ შემადგენლობაში.

რ. კაპანაძე,
სამტრედიის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა გუნდის ყოფილი წევრი.

[illegible]

**გურჯაანი**

სპორტსკოლის დარბაზში გაიმართა რაიონის საშუალო სკოლების კალათბურთელთა პირველობა. გოგონებში უძლიერესის სახელი მოიპოვა რუსული საშუალო სკოლის გუნდმა, ჭაბუკებში — სკოლა-ინტერნატის ნაკრებმა.

ი. ოდიშელიძე.



მოფარიკავეთა რომელი თაობის წარმომადგენელსაც უნდა ჰკითხოთ, რატომ აირჩია ეს „პროფესია“, უმეტეს შემთხვევაში მიიღებთ სტერეოტიპულ პასუხს: „დიუმას „სამი მუშკეტერის“ წაკითხვის შემდეგ“.

მართლაც ასეა. დიუმას მუშკეტერები მკითხველს და, განსაკუთრებით, ნორჩ თაობას ხიბლავენ ვაჟკაცური შემართებით, ჭეშმარიტი რაინდობითა და ალალი მეგობრობით. მოფარიკავეთა უმრავლესობისთვის დიუმას რომანი მართლაც სამაგიდო წიგნია. რა თქმა უნდა, სპორტის ამ სახეობის წარმომადგენლებს „სამი მუშკეტერის“ გარდა ბევრი სხვა მწერლის ნაწარმოებებიც უყვართ, მაგრამ მუშკეტერები მათთვის მაინც მუშკეტერებად რჩებიან...

რასაკვირველია, მსოფლიო ჩემპიონ ვ. ნაზლიმოვს ბავშვობაში ხიბლავდა დარტანიანისა და მისი მეგობრების თავგადასავალი, მაგრამ ფარიკაობაში იგი მოიყვანა... რობინ ჰუდმა. დიახ, ინგლისური პოპულარული ეპოსის ეს უშიშარი გმირი ვლადიმერისთვის თავისებურ იდეალს წარმოადგენდა.

ვლადიმერ ნაზლიმოვი საშუალო ტანის, გამხდარი ჭაბუკია. აქვს გულღია და ხალასი ღიმილი, არასოდეს არ კარგავს წონასწორობას თვით გადამწყვეტი შეხვედრის წაგების შემდეგაც კი. ვერ ვიტყვით, რომ იგი სიტყვაძვირი იყოს. პირიქით, ხალისით გვესაუბრება ჩატარებული ბრძოლებისა და მეტოქეთა შესახებ. ამ საუბარს ალამაზებს გონებამახვილური იუმორი და გულწრფელობა. ჩვენი საუბარიც უჩვეულოდ დაიწყო.

— ვლადიმერ, რომელი მწერლების ნაწარმოებები გიზიდავთ?

— რობინ ჰუდის შესახებ უკვე მოგახსენეთ, ოღონდ, ეს გმირი კინოეკრანზე გავიცანი. ნახევრად ჩაბნელებულ დარბაზში მე შევხვდი კაცს, რომელიც იარაღით ხელში იბრძოდა სამართლიანობისა და ღირსებისთვის. იბრძოდა ოსტატურად... ეს იყო დაუვიწყარი მომენტი, რის შემდეგაც

# რობინ ჰუდი და... ეჟი პავლოვსკი

გადავწყვიტე მოფარიკავე გავმხდარიყავი.

იქნებ ეს არ იყოს პირდაპირი პასუხი თქვენს კითხვაზე, მაგრამ ლიტერატურული გმირები, პირდაპირი ან გადატანითი მნიშვნელობით, დიდ გავლენას ახდენენ ადამიანის ჩამოყალიბებაზე. სასაცილო იქნებოდა, რომ მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე რობინ ჰუდის გავლენის ქვეშ ვყოფილიყავი. ჩემი საყვარელი მწერლები? ტოლსტოი, ჩეხოვი, შოლოხოვი, გამზათოვი. რასულ გამზათოვი, ნიჭიერი დაღესტნელი პოეტი, ამ სახელგანთქმული ადამიანების კომპანიაში შემთხვევით არ მოხვედრილა. მე მახაჩყალაში დავიბადე და გავიზარდე და, რომ იტყვიან, დედის რძესთან ერთად ვიგემე მისი ვაჟკაცური, პატრიოტული პოეზიის მადლი. თქვენთვის უფრო გასაგები რომ გახდეს, გამზათოვი ჩემთვის იგივეა, რაც ქართველებისთვის რუსთაველი, ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა... სხვათა შორის, რასული ხშირად ესწრება იმ შეჯიბრებებს, რომლებშიც მე ვმონაწილეობ. გულახდილად უნდა გითხრათ, ჩვენ დღემდე არა ვართ ერთმანეთის უკმაყოფილო.

— ახლახან ახსენეთ, რომ პოეტი გამზათოვი კმაყოფილია თქვენი წარმატებებით სპორტულ სარბიელზე. იზიარებთ თუ არა მის აზრს?

— როგორ გითხრათ... ფარიკაობა, ხატოვნად რომ ვთქვათ, მარტის თვეს ჰგავს. ისეთივე ჭირვეული და უნდოა. მთელი ჩემი საფარიკაო პრაქტიკა ამ აზრს ადასტურებს. ერთ შეჯიბრებაში კარგად რომ გამოხვალ, მეორე ასპარეზობაში გაიხედავ და აუტსაიდერთა შორის აღმოჩნდები. რა ვუყოთ, ასეთია ფარიკაობის სპეციფიკა. მით უფრო საპატიოა, როცა გამარჯვება მარცხს სჭარბობს. ეს არის უტყუარი საზომი, რომელიც განსაზღვრავს მოფარიკავის კლასს, ოსტატობას. განა ერთი შეხედვით საოცარი არ არის, რომ მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები გ. კრისი, ა. ნიკანჩიკოვი, ბ. ხაბაროვი ახლახან დამთავრებული თასის გათამაშების ფინალშიც კი ვერ მოხვდნენ?

ნუ დაგავიწყდებათ, რომ ისინი სამართლიანად ითვლებოდნენ ასპარეზობის ფავორიტებად. არავის მოუვა აზრად, რომ ამ წარუმატებლობის შემდეგ ეს სპორტსმენები საფარიკაო ელიტას გამოაკლონ.

ჩემზეც იგივე შეიძლება ითქვას. აგერ უკვე სამი წელია, რაც უცვლელად გამოვდივარ ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში. და რა ხდება? აი, ბაქოს ტურნირში თასი მოვიპოვე, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ განმეორებით რომ ჩატარდეს იგივე შეჯიბრება, ძნელია ითქვას, რომ პირველ ადგილზე გამოვალ. აბა გადახედეთ ხმლით ფარიკაობაში ჩემპიონის ტიტულის მაძიებლებს: რაკიტა, სიდიაკი, ვინოკუროვი, მელნიკოვი და სხვები. ყოველ მათგანს თამამად შეუძლია იბრძოლოს უძლიერესის სახელისთვის.

ახლა კი პირდაპირ მინდა გაგცეთ პასუხი კითხვაზე. შეიძლება თუ არა უკმაყოფილო იყოს ადამიანი, როცა ასეთ სახელოვან სპორტსმენთა შორის გამარჯვებას მოიპოვებს?

— როგორც ამბობთ, ბაქოს ტურნირი თქვენთვის რთული და უშეღავათო იყო. რომელ გამარჯვებას გაიხსენებთ ამ შეჯიბრების შემდეგ?

— რა თქმა უნდა, ... ... ... სანახაობრივი თვალსაზრისით ეს ბრძოლა სანიმუშო იყოთ. გულახდილად რომ ვთქვა, ჩემთვის ეს როდი იყო მთავარი. ძნელია გადმოგცეთ ის შინაგანი დაძაბულობა, ნერვიული რიტმი, რომელიც წითელ ხაზად გასდევდა ამ ბრძოლას დასაწყისიდან ბოლომდე. ჩემს წინ იდგა ჰავანის მსოფლიო ჩემპიონატის გმირი, ვისთვისაც ფარიკაობაში საიდუმლო აღარ არსებობს. ჩემი აზრით, გამარჯვებაში დამეხმარა ნებისყოფის სიმტკიცე, აი, თუნდაც, ისეთი, როგორიც თქვენს ნუგზარ ასათიანს ჰქონდა.

— რადგან სიტყვა ასათიანზე ჩამოვარდა, რას იტყოდით ამ სპორტსმენის შესახებ?

— ასათიანი ჩემთვის მუდამ ჭეშმარიტი სპორტსმენის მაგალითს წარმოადგენდა. მას ჰქონდა ერთი ჩინებული თვისება: გადამწყვეტი ბრძოლის წინ ყოველთვის მომზადებული იყო. ეს სათქმელად ადვილია, მაგრამ საამისოდ, დახვეწილი ტექნიკისა და ტაქტიკის გარდა, მოკავშირეებად უნდა გვეულებოდეთ მტკიცე ნებისყოფა, გამარჯვების ურყევი რწმენა და, რაც მთავარია, საკუთარი ძალის იმედი. ყოველივე ეს მხოლოდ დიდ სპორტსმენებს ახასიათებთ. მე ვამაყობ ჩემი ახლო მეგობრობით სხვა ქართველ მოფარიკავეებთანაც, მაგალითად, საზვაძესთან, ლორთქიფანიძესთან... ძალიან ვნანობ, რომ შარშან ვერ შევძელი გამოვსულიყავი ადეიშვილის მემორიალში. მალხაზი ჩემი თაობის მოფარიკავე იყო. ჩინებული სპორტსმენი, სანდო მეგობარი. აი, როგორი დარჩა იგი ჩემს ხსოვნაში.

აქვე მინდა დავსძინო, რომ ხმლით მოფარიკავეთა ქართული სკოლა ერთ-ერთი საუკეთესოა არა მარტო ჩვენში, არამედ მსოფლიოშიც. გავიხსენოთ თუნდაც ასათიანის ბრწყინვალე საფარიკაო კარიერა, ანდა ლორთქიფანიძის ტრიუმფი იუნიორთა მსოფლიო პირველობაში. სპეციალისტები ამბობენ, რომ ფარიკაობის მანერით მე ქართული სკოლისკენ ვიხრები. თუ ეს მართლაც ასეა, მხოლოდ მოხარული ვიქნები.

— თქვენ ხშირად მონაწილეობთ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში. დღესდღეობით რომელი საფარიკაო სკოლა მიგაჩნიათ ყველაზე პროგრესულად მსოფლიოში?

— მე მხოლოდ ჩემს იარაღზე მოგახსენებთ. იყო დრო, როცა უნგრელი ხმლით მოფარიკავეები ტონს აძლევდნენ ფარიკაობის ამ სახეობის განვითარებას. მათი ჰეგემონია შეარყიეს ჯერ პოლონელმა, ხოლო შემდეგ საბჭოთა სპორტსმენებმა. ახლა კი თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხმლით მოფარიკავეთა საბჭოთა სკოლა ყველაზე პროგრესულია მსოფლიოში. ბოლო წლების მანძილზე ჩვენ არ ვიცით, რა არის დამარცხება. ადრე გითხარით, ფარიკაობა მარტის თვესავით ჭირვეულია-მეთქი. მიუხედავად ამისა, გამოჩენილი საბჭოთა სპორტსმენები კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ხშირად ადიან. ჩემი აზრით, უახლოეს ხანში საერთაშორისო ასპარეზზე ძალთა თანაფარდობის რაიმე ცვლილება მოსალოდნელი არ არის.

— დაბოლოს, მოგმართავთ ტრადიციული კითხვით: რომელი ხმლით მოფარიკავეა თქვენი იდეალი?

— ამ კითხვაზე მარტო მე კი არა, ალბათ, ყველა ესპადრონისტი „ერთფეროვან“ პასუხს გაგცემთ — პოლონელი ეჟი პავლოვსკი. ჩემი აზრით, იგი გახლავთ ყველა დროის უდიდესი მოფარიკავე.

ა. გოგელია.

(ჩვენი სპეც. კორ.).

ბაქო — თბილისი.

• • •

სურათზე: ვ. ნაზლიმოვი.

ფოტო ფ. რაჯაბლისა.

# „რინგზე მშვიდად ვიყავი“

ჩვენი საუბარი ევროპის ორგზის ჩემპიონთან კრივში, მოსკოველ ინჟინერ ვალერი ფროლოვთან სსრ კავშირისა და აშშ-ს ნაკრები გუნდების მოსკოვის მატჩის წინადღით შედგა. ევროპის ორგზის ჩემპიონი, რომელიც ერთი თვის წინ იუგოსლავიიდან დაბრუნდა, „ოქროს ხელთათმანების“ ტურნირში გამარჯვების შემდეგ სერიოზულად იყო განწყობილი. საბჭოთა ნაკრების კაპიტანი უკვე რინგის თეთრ მოედანზე ჩასატარებელი მომავალი ორთაბრძოლით ცხოვრობდა. მაგრამ საუბარზე მას უარი არ უთქვამს. როგორც ნამდვილ სპორტსმენს, რომელსაც კრივში ხასიათების ბრძოლა უყვარს და შეუძლია რინგზე მომხდარის გაანალიზება, მას თავისი შეხედულება აქვს სპორტის კანონებზე, ამიტომ ფროლოვის აზრი მუდამ საინტერესოა. აი, როგორი დიალოგი გაიმართა ჩვენს შორის:

— ვალერი, ერთი წუთით წარმოიდგინე, რომ შევძელით კინოფირის უკან დატრიალება. გახსოვს შენი პირველი ბრძოლები? მაშინ კარგად დაიწყე, მაგრამ მე მგონია, იმ დროს არ ფიქრობდი, თუ ასეთ დიდ წარმატებებს მიაღწევდი. თავიდან რომ დაგეწყო, შეძლებდი ყველაფრის გამეორებას და საკუთარი შედეგების გაუმჯობესებას?

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა იოლიცაა და ძნელიც. ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო. ზოგჯერ ერთადერთმა ბრძოლამ შეიძლება იმოქმედოს მოკრივის შემდეგ ბედზე. ხოლო თუ კი ყველაფერს იდეალში ავიღებთ და ჩავთვლით, რომ ჩემი, როგორც მოკრივის ბედი ნიუანსებშიც კი გამეორდება, მაშინ ალბათ უფრო მეტის მიღწევას შევძლებდი. დღეს ხომ კრივზე თითქმის ყველაფერი ვიცი, ზუსტად ვიცი, რა მინდა მისგან... ვფიქრობ, ისიც ვიცი, თუ რაშია მისი მომავალი... ხშირად დავფიქრებულვარ, მომიტანს თუ არა წარმატებას რინგზე ჩემი სტილი. ამჟამად იგი აღიარეს. თანაც, აქ, პირველ ყოვლისა, გავლენა იქონია ჩემმა გამარჯვებებმა ევროპის პირველობებში. აქამდე მწვრთნელები ხშირად მსაყვედურობდნენ: ფროლოვს ტექნიკა აქვს, მაგრამ თავისი მეტოქის „გადაჩეხვა“ არ შეუძლიაო.

— გამოდის, რომ შენც გჭამდა ეჭვი. თუ ყოფილა გადამწყვეტი მომენტი, რომელზეც დამოკიდებული იყო გამარჯვება თუ მარცხი?

— გამარჯვება თუ მარცხი... მოკლედ, ყოფნა-არყოფნა? ჰამლეტის ამ შეკითხვას არც ჩემთვის აუვლია გვერდი. გახსოვს 1967 წლის რომი, ევროპის ჩემპიონატი, ჩემი პირველი ევრობის ჩემპიონატი და ფინალური ბრძოლა თვით ე. კულეისთან — პოლონელების კერპთან, ოლიმპიურ ჩემპიონთან, იმ დროისთვის დაუმარცხებლად რომ თვლიდნენ?

ახლა იქნებ არც დამიჯერონ, მაგრამ ეს სიმართლეა: რინგზე რომ გამოვდიოდი, მშვიდად ვიყავი. მოგებას ჩემგან არავინ ელოდა, მწვრთნელებმა ჩემთვის მეორე ადგილი დაგეგმეს. მე უნდა დამემტკიცებინა, უფრო მეტად ვფასობ თუ არა. ოლეგმა, ჩემმა ძმამ, მწვრთნელმა და სეკუნდანტმა რომის რინგზე, თქვა: „ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ“. და გადავწყვიტეთ ბრძოლა გამოგვეცხადებინა კულეისთვის.

შემდეგ კი მოვლენები ისეთნაირად ვითარდებოდა, რომ არა მარტო საბოლოოდ დამამშვიდა, არამედ... გამამხიარულა კიდეც. ბრძოლა ეს-ესაა დაიწყო, პირველი რაუნდია, მე კი უკვე ნოკდაუნში ვარ. ახლა კულეიც კი სავსებით დარწმუნებულია თავის წარმატებაში. შევხედე ტრიბუნებს და შევამჩნიე, რომ თანაგრძნობით მიყურებენ. გამოდის — ვცოდები ხალხს. და უეცრად გარშემო ყველაფერი ძალიან სასაცილოდ მომეჩვენა. სწორედ ახლა, როცა ნამდვილად არავინ დადებს ჩემზე ნაძლევს, აუცილებლად მოვიგებ. შემდეგ — მესამე რაუნდი. მეტოქე მისთვის მზად არ იყო, მე კი თავბრუდამხვევი ტემპი შევთავაზე და გამუდმებით ვუტევდი. ერთი სიტყვით, იმ დღეს მე ევროპის ჩემპიონი გავხდი. ალბათ, რამდენიმე წუთის შემდეგ, საპატიო კვარცხლბეკზე რომ ვიდექი, მივხვდი, რომ სწორ ახლახან გადამწყვეტი მომენტი გადავიტანე და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩემს მიერ კრივში არჩეული გზა სწორი იყო.

— ვალერი, შენ უკვე ახსენე კრივში თანამედროვე სტილის ძიება. ამჟამად მწვრთნელები, მსაჯები და შენი ამხანაგები ეროვნული ნაკრებიდან ფიქრობენ: რა გზით უნდა განვითარდეს შემდგომ სპორტის ჩვენი სახეობაო? მინდა ვიცოდე შენი აზრი: კრივის განვითარება ამჟამად ევოლუციას განიცდის თუ რევოლუციას?

— პრინციპში, კრივი არც რევოლუციას განიცდის, არც ევოლუციას. ხოლო კრივის პრობლემებზე თუ ვილაპარაკებთ, მხედველობაში მაქვს უპირველეს ყოვლისა სამოყვარულო კრივი, აქ, ჩემი აზრით, მთავარია მსაჯობის პრობლემა. არბიტრების მიერ წესების სხვადასხვანაირ განსაზღვრას იქამდე მივყავართ, რომ კრივში აქა-იქ ჩნდება თავისებური გადახრები. მაგალითად, რამდენიმე წლის წინ ჩვენს ქვეყანაში მსაჯებმა ნებსით თუ უნებლიეთ გაილაშქრეს ახლოს ბრძოლის ტაქტიკის წინააღმდეგ, სუფთა კრივისთვის ბრძოლის საბაბით. რა მოხდა ამის შემდეგ? წამყვანი მოკრივეების უმრავლესობას, ქვეყნის ნაკრებშიც კი, სრულიად დაავიწყდა ახლოს ბრძოლის ხერხები. ამან იქამდე მიგვიყვანა, რომ ჩვენი სპორტსმენები საზღვარგარეთ მარცხდებოდნენ ნაკლებად ტექნიკურ და ნაკლებად გამოცდილ მეტოქეებთან, თუ ეს უკანასკნელნი შეძლებდნენ მათთვის თავს მოეხვიათ ახლო დისტანციაზე ბრძოლა. ახლა ჩვენში ხშირად ლაპარაკობენ დარტყმის ჯადოსნურ სიძლიერეზე. ფიქრობენ, რომ ძლიერ დარტყმას შეუძლია შეცვალოს ტექნიკური საშუალებების მრავალფეროვნება. ზოგიერთი ავტორიტეტი ამ დროს იხსენებს სსრ კავშირისა და აშშ-ს ამასწინანდელი მატჩის (ლას-ვეგასი) შედეგს. მაგრამ მათ რატომღაც არ სურთ შენიშნონ, რომ საბოლოო ჯამში გაიმარჯვეს სწორედ საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებიც უფრო მრავალმხრივ ტექნიკას ფლობენ.

— შენ ორჯერ შეხვდი ამერიკელ მოკრივეებს. მინდოდა გამეგო შენი აზრი ამერიკულ სამოყვარულო კრივზე.

— ამერიკელებთან — უოლინგტონთან და როლანდთან ბრძოლა ყველაზე რთული როდი იყო ჩემს სპორტულ კარიერაში, თუმცა არც იოლი ყოფილა. აშშ-ს მოყვარულ მოკრივეებს რომ ვაკვირდებოდი, მივედი დასკვნამდე, რომ ტექნიკური თვალსაზრისით კი არ ჩამოვრჩებით მათ, არამედ უკეთ მომზადებული ვართ. ამერიკელებს არც ფიზიკური თვალსაზრისით ვკუთვნით უპირატესობა. სამაგიეროდ, ამერიკელებს აქვთ ერთი დაუფასებელი პრივილეგია — მეტად დამაჯერებლად გრძნობენ თავს რინგზე. ეს თვისება ვლინდება ყველაფერში, განსაკუთრებით მათს მცირერიცხოვან, მაგრამ საუკეთესოდ დამუშავებულ დაცვისა და თავდასხმის ხერხებში. თუ ჩემს ამხანაგებს საკუთარი ძალის ასეთივე რწმენა ექნებათ, გამარჯვებას მათ ვერავინ წაართმევს. რაც შეეხება მომავალი შეხვედრის პროგნოზს, თუმცა სპორტული ჰოროსკოპების ამოხსნის მომხრე არა ვარ, ვფიქრობ, რომ ამჯერადაც საბჭოთა კავშირის ნაკრები გაიმარჯვებს.

— წარმოიდგინე, რომ მწვრთნელად მუშაობა და საჩემპიონო ტიტულებისთვის ნიჭიერი ბავშვების მომზადება შემოგთავაზეს. რას უპასუხებდი?

— აქ ჩემთვის კითხვა არ არსებობს. განათლებით ინჟინერ-ელექტრომექანიკოსი ვარ. მიყვარს ჩემი პროფესია, ენერგეტიკულ ინსტიტუტში ექვს წელიწადს სწავლამ ბევრი რამ მომცა. ვერავითარ აუცილებლობას ვერ ვხედავ, რომ სპეციალისტმა ინჟინრის დიპლომით მწვრთნელის პროფესიას მოჰკიდოს ხელი (თუმცა ახლა ეს, მგონი, მოდაშია). განა ვინმეს მოუვა აზრად, რომ ქირურგის სკალპელი, მაგალითად, გეოლოგს მიანდოს?

ასე რომ, თუ მწვრთნელობას შემომთავაზებენ, უყოყმანოდ უარს ვიტყვი. გუშინდელ სპორტსმენსა და მწვრთნელს შორის, დარწმუნებული ვარ, უდიდესი დისტანციაა.

ამის გასაგებად ისტორიაში ჩახედვაც კი არ ღირს. დიდი სპორტსმენებისგან იშვიათად გამოდიან დიდი მწვრთნელები. მწვრთნელი — ეს პედაგოგიცაა, ფსიქოლოგიც, დიპლომატიც, თუ გნებავთ. ამავე დროს, იგი უნდა ფლობდეს სხვა მეტად მნიშვნელოვან თვისებებსაც.

მე კი, არა მგონია, ვფლობდე ყველა ამ თვისების ნახევარსაც კი.

მ. გუსევი,

სპორტის ოსტატი.

# გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

რედაქციამ მიიღო ძალოსნობის მწვრთნელის, თელაველი რ. საამოვის წერილი „რატომ ამოიღეს პროგრამიდან ძალოსნობა?“.

წერილის ავტორი სინანულს გამოთქვამდა, რომ ეს სახეობა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების საკავშირო სპარტაკიადის პროგრამიდან ამოიღეს. ძალოსნობა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების სპარტაკიადის პროგრამიდანაც ამოიღეს.

როგორც რედაქციას „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ულენტმა აცნობა, 1970 წლის სპორტულ ღონისძიებათა რესპუბლიკურ კალენდარში დაგეგმილია ძალოსანთა მრავალი შეჯიბრება, რომლებშიც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების წარმომადგენლებსაც შეუძლიათ მონაწილეობა.

# ყოველი მხრიდან

## რამდენი კბილი აქვს მორის რიშარს?

სამყარო შეპყრობილია კოლექციონერობის სენით. ამ გატაცებას ვერც სპორტის მოყვარულები გადაურჩნენ, რომლებიც სხვადასხვა შეჯიბრების სამკერდე ნიშნებს, კლუბების ვიმპელებს, ოლიმპიადების ალბომებსა და ვარსკვლავების ავტოგრაფებს აგროვებენ. მათი გაკვირვება თითქოს ალარაფრით შეიძლება, მაგრამ ზოგიერთი კანადელის გატაცება მაინც განსაკუთრებით უჩვეულოა. საქმე ისაა, რომ ისინი აგროვებენ ცნობილი ჰოკეისტების ... კბილებს, რომლებსაც ყინულის მინდორზე გაჩაღებული მხურვალე ბატალიების დროს პოულობენ. კოლექციონერები ამ დროს ხშირად ამყარებენ გაუგონარ რეკორდებს. მაგალითად, ბოლო სამი წლის მანძილზე კანადაში გაიყიდა სახელგანთქმული ფორვარდის მორის რიშარის... 122 კბილი.

როცა გაიგებ, რა თანხაა ალებული „რაკეტად" წოდებული რიშარის კბილებში, მხოლოდ მაშინ დაფიქრდები, რომ კანადელების სიყვარული თავიანთი კერპისადმი არც ისე უანგაროა. ეს თანხა 8800 დოლარს აღწევს.

რას იზამ, ბიზნესი მუდამ ბიზნესია.

## სიდნეი უოკერის მძიმე ხვედრი

სიდნეი უოკერმა ცხოვრებაში ბევრი რამ ნახა. უკვე 11 წლის ასაკში ზანგმა ბიჭმა იცოდა, რას ნიშნავს მძიმე შრომა და ასე შრომობდა მთელი სიცოცხლის მანძილზე. იგი ჯერ გაზეთების დამტარებელი იყო, შემდეგ, 19 წლიდან, უკვე პროფესიულ რინგზე გამოვიდა, თავისი კარიერის დამთავრების მერე კი... ფეხსაცმლის მწმენდავად დაიწყო მუშაობა.

ძალიან ხშირად პროფესიონალი კარიერის დამთავრების შემდეგ, თუნდაც დიდების ზენიტში დატოვოს სპორტი, ულუკმაპუროდ რჩება. აი, რას ამბობს თავად უოკერი:

— მე რინგს შევწირე ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები. ორჯერ მოვიპოვე მსოფლიო ჩემპიონის წოდება. ათასობით დოლარს ვიღებდი, მაგრამ მხოლოდ კაპიკები მრჩებოდა. ბო ჯეკის სახელით რინგზე 112 ბრძოლა ჩავატარე. 83 შეხვედრა მოვიგე, 5 მატჩი ფრედ დავამთავრე. „მედისონ სკვერ გარდენში" 28 გამოსვლა მქონდა, რომლებიც პროგრამის მთავარ ნაწილში იყო შეტანილი (ეს თავისებური რეკორდია პროფესიონალებისთვის). ჩემი პირადი ხვედრი შეიძლებოდა უკეთესიც ყოფილიყო და უარესიც, მაგრამ, ვფიქრობ, კარიერის დასასრულს მაინც ერთი ბედი მელოდა — ან უნდა მემათხოვრა, ან ფეხსაცმელები მეწმინდა.

რა იქნა ის დიდი ჰონორარი, რომელსაც ვიღებდი? — იკითხავთ თქვენ. იგი მენეჯერებსა და საგადასახადო სამმართველოს მოხმარდა.

მე ახლა, რა თქმა უნდა, ცხოვრების ფსკერზე ვარ დაშვებული, მაგრამ მჯერა, რომ ამერიკის ზანგები მომავალში მოიპოვებენ თავიანთ უფლებებს, რომლებსაც მათ აშშ-ს კონსტიტუცია ანიჭებს. აი, რატომ ვარ აღტაცებული მოკრივისა და მოქალაქის კასიუს კლეის საქციელით, რომელიც ვილი პეპთან და რეი რობინსონთან ერთად ყველა დროის პროფესიული რინგის საუკეთესო წარმომადგენლად მიმაჩნია.

## ტენორი და ფეხბურთი

ტურინის ოპერის დირექტორი ცნობილი იყო, როგორც ფეხბურთის მოძულე კაცი. მაგრამ აი, იტალიაში გავრცელდა ცნობა, რომ იგი ხელმძღვანელობს ადგილობრივ პროფესიულ კლუბს „ტორინოს". როცა რეპორტიორებმა სცადეს ასეთი მეტამორფოზის მიზეზი გაეგოთ, ოპერის ხელმძღვანელმა ყველაფერი ძალიან მარტივად ახსნა:

„ჩვენი წამყვანი ტენორი ფერუჩო ტალიავინი „ტორინოს" თავგამოდებული გულშემატკივარია. საყვარელი კლუბის ყოველი გამარჯვების შემდეგ იგი განსაკუთრებით კარგად მღერის და ოპერის შენობაში მელომანების ტევა არ არის. და აი, მე გადავწყვიტე კლუბის ხელმძღვანელობაში შევსულიყავი, მისი გამარჯვებებისთვის ხელი შემეწყო, რათა თეატრის აყვავებას დავხმარებოდი".

## სალდანიას მაგალითისამებრ

ბრაზილიის ნაკრების მაგალითმა, რომელსაც სათავეში ცნობილი სპორტული ჟურნალისტი ჟ. სალდანია უდგას, შოტლანდიელებიც აღაფრთოვანა. მას შემდეგ, რაც ფეხბურთელთა გუნდმა „გლაზგო რეინჯერსმა" მარცხი იწვნია ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში პოლონეთის „გურნიკთან" (ზაბჟე), შოტლანდიელებმა უარი თქვეს ყოფილ მწვრთნელზე დ. უაიტზე, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა „რეინჯერსს".

დიდხანს კამათობდნენ, ვინ დაენიშნათ ახალ მწვრთნელად და შემდეგ საკმაოდ მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღეს: „ის, ვინც ყველაზე კარგად და სამართლიანად გვაკრიტიკებდა მარცხისთვის, მხოლოდ ასეთ კაცს შეუძლია გამოიყვანოს გუნდი რთული მდგომარეობიდან". ასეთი კაცი აღმოჩნდა გაზეთ „სანდი სიტიზენის" რედაქტორი უედელი, რომელმაც მიწვევა მიიღო.

ვინ იქნება შემდეგი მწვრთნელი-ჟურნალისტი?



მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა საშუალო წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის, ამერიკელმა რეი რობინსონმა, რომელმაც რამდენიმე წლის წინ დატოვა რინგი, წინადადება მისცა ახლანდელ მსოფლიო ჩემპიონს, იტალიელ ნინო ბენვენუტის გამართონ საჩვენებელი მატჩი 16 მარტს ლოს-ანჟელესში.

რობინსონი ბენვენუტისადმი გაგზავნილ დეპეშაში წინადადებას იძლევა შეხვედრის შემოსავლის მთელი თანხა გადაეცეს იმ ახალგაზრდა დამნაშავეთა რეაბილიტაციის ფონდს, რომელსაც ამერიკელი ხელმძღვანელობს. შეხვედრა გაიმართება სასტუმრო „ბევერლი ჰილსის" სალონში.

სურათზე: ნინო ბენვენუტი ინტერვიუს იძლევა მომავალ მატჩთან დაკავშირებით.

△ ანერი (საფრანგეთი). დახურულ ველოდრომზე პროფესიონალთა შეჯიბრებაში ჰოლანდიელმა პოსტმა ერთსაათიან რბოლაში 62 კმ 690 მ დაფარა და პირველობაც მოიგო. II ადგილზეა შურენი, III — დელოფი (ორივე — ბელგია).

△ ბერლინი. „დინამოს" დარბაზში გაიმართა გდრ-ის მძლეოსანთა ზამთრის ჩემპიონატი. სამმხტომელმა რ. დრემელმა 16,21 მ აჩვენა. პ. დრიუკპოლმა 214 სმ სიმაღლე გადალახა.

△ პრაღა. დარბაზში გამართულ საერთაშორისო ტურნირში 20 წლის ჰ. მაგერლმა (გფრ) 214 სმ სიმაღლე დაძლია.

△ ნიერი. კენიის ამ მაღალმთიანი ქალაქის (2200 მ) სტადიონზე ქ. კეინომ 1500 მეტრი 3 წუთსა და 42,7 წამში გაირბინა, ახალგაზრდა ნ. ბონმა კი 800 მ — 1 წუთსა და 52,2 წამში.

△ სოლსბერი. როდეზიელმა სპრინტერმა მანდეზამ 100 მ 10 წამში გაირბინა, ხოლო სეშიატმა 400 მ — 47,2 წამში.

△ ოქსფორდი. ამ ქალაქის დარბაზში დამთავრდა ინგლისის მძლეოსანთა ზამთრის ჩემპიონატი. რ. უაილდმა 3000 მეტრზე რბენაში ქვეყნის ახალი მიღწევა (7.59,2) დაამყარა. 800 მეტრზე რბენაში მიღწევის მფლობელი გახდა კ. კემპბელი — 1.49,6. ქალთა შეჯიბრებაში რეკორდები დაამყარეს: მ. სტრაუდმა, რომელმაც 60 მ 7,4 წამში გაირბინა, და ე. სტირლინგმა, რომელმაც მოიგო 800 მეტრზე ასპარეზობა — 2.06,5.

## გუშინ...

თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის დასკვნითი ტურის მატჩები: „ლოკომოტივი" (ალმა-ათა) — ასკ (რიგა) 66:73 (32:41), „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „სტროიტელი" (კიევი) 57:56 (35:33), „ჟალგირისი" (კაუნასი) — „კალევი" (ტარტუ) 85:84 (37:43), „ბურევესტნიკი" (თბილისი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 78:65 (38:33). თბილისის „დინამოსა" და კიევის არმიელთა შეხვედრა გვიან საღამოს დამთავრდა.

# წითელი შუქნიშანი

პარიზი, 2 მარტი. ხელბურთელ ვაჟთა აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა ნაკრებმა მეორე მატჩი ნორვეგიელებთან გამართა და გაიმარჯვა — 10:9 (5:4). კვლავ ისახელა თავი მაქსიმოვმა, რომელმაც 5 ბურთი გაიტანა. 2 ბურთის ავტორია კლიმოვი, ხოლო თითოსი — მაზორინი, სოლომკო და პანოვი.

ნორვეგიელებთან საბჭოთა ხელბურთელებს გამარჯვება იოლად როდი მოუპოვებიათ. პირველი ტაიმის წაგების შემდეგ, სკანდინაველები სულ მალე დაწინაურდნენ — 6:5. როცა ფინალურ სასტვენამდე 8 წუთი იყო დარჩენილი, საბჭოთა ნაკრებმა ანგარიში გაათანაბრა — 8:8. დანარჩენ დროში მან კიდევ 2 ბურთი გაიტანა. საბჭოთა მეკარე ვილსონის ბრწყინვალე თამაშმა ნორვეგიელებს ანგარიშის გათანაბრების საშუალება არ მისცა. მან რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო და 7-მეტრიანი საჯარიმოც მოიგერია.

მეორე წრე რამდენიმე მოულოდნელი შედეგით აღინიშნა. გდრ-ის ნაკრებმა, რომელმაც დიდი ჯაფა შეალია საბჭოთა გუნდის დამარცხებას, წააგო შვედებთან — 9:11. იაპონელთა ახალგაზრდულმა გუნდმა მეორე ტაიმში შეძლო [illegible] მატჩი ძლიერ იუგოსლაველებთან — 17:17.

აი, სხვა მატჩების შედეგები: ჩეხოსლოვაკია — აშშ 23:9, რუმინეთი — შვეიცარია 22:7, გფრ — საფრანგეთი 15:12, დანია — ისლანდია 19:13, უნგრეთი — პოლონეთი 15:9.

მეოთხედფინალური ტურნირის მონაწილენი სამ ჯგუფში ვადამდე გამოვლინდნენ. ესენი არიან: უნგრეთის, დანიის, რუმინეთის, გფრ-ის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის ხელბურთელები (თუმცა, იუგოსლავიის გუნდის გასწრების თეორიულ შანსს ინარჩუნებენ იაპონელები).

კვირას გაიმართა დასკვნითი შეხვედრები პირველ ჯგუფში. საბჭოთა ხელბურთელებმა მოუგეს შვედებს (12:11), ხოლო გდრ-ის წარმომადგენლებმა — ნორვეგიელებს — 10:8. სამმა გუნდმა (შვეცია, გდრ, სსრ კავშირი) ქულათა ერთნაირი რაოდენობა (4) დააგროვა, მაგრამ ბურთების უკეთესი ბალანსის წყალობით მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს გდრ-ისა და შვეციის ხელბურთელებმა.

აი, პირველი ჯგუფის საბოლოო ცხრილი:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეცია | 3 | 2 | 0 | 1 | 30—27 | 4 |
| გდრ | 3 | 2 | 0 | 1 | 32—30 | 4 |
| სსრ კავშირი | 3 | 2 | 0 | 1 | 33—33 | 4 |
| ნორვეგია | 3 | 0 | 0 | 3 | 28—28 | 0 |

# არც ოქრო, არც ვერცხლი, არც ბრინჯაო...

მილუოკი, 1 მარტი. ამერიკის შეერთებული შტატების ამ ქალაქის გარეუბანში — უესტ-ალისის ხელოვნურ საციგურაოზე დღეს დამთავრდა მოციგურავე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი. პირველ დღეს წარმატებით იასპარეზა გრენობლის თეთრი ოლიმპიადის „ოქროს სპრინტერმა", მოსკოველმა ლ. ტიტოვამ, რომელმაც ყველას აჯობა 500-მეტრიან დისტანციაზე (45,38 წამი) და XI ადგილი დაიკავა 1500 მეტრზე რბენაში.

მაგრამ შეჯიბრების მეორე დღე საბჭოთა მოციგურავეებისთვის (ტიტოვა, ნ. სტატკევიჩი, ტ. სიდოროვა, ლ. კაუნისტე, ტ. ავერინა) უხეირო გამოდგა. მაგალითად, ევროპის წლევანდელი ჩემპიონი სტატკევიჩი პირველ დღეს 1500 მეტრზე რბოლის დროს დაცემის შემდეგ ვერა და ვერ გაიმართა წელში და საბოლოოდ საწადელსაც ვერ მიაღწია.

საბჭოთა მოციგურავეები პრიზიორთა შორის ვერ მოხვდნენ.

I ადგილი დაიკავა ჰოლანდიის ჩემპიონმა ა. კეილენ-დეელსტრამ — 192,303 ქულა. II ადგილზეა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ჰოლანდიელი ს. კაიზერი (192,780), III — ნორვეგიელი ს. სუნდბიუ (193,473), IV — ამერიკელი დ. ჰოლამი (193,693), V — შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი კაუნისტე (194,613).

# მსოფლიო ჩემპიონი... IV ადგილზე

მსოფლიო ჩემპიონმა ვ. ვედენინმა რსფსრ-ს ხალხთა ზამთრის სპარტაკიადის 30-კილომეტრიან სათხილამურო რბოლაში IV ადგილი დაიკავა. ეს მოხდა მიასში, სადაც 1 მარტს მოთხილამურეებმა აიღეს სტარტი. გაიმარჯვა ესტაფეტაში მსოფლიო ჩემპიონმა ვ. ვორონკოვმა (მოსკოვი) — 1:38.24. მომდევნო ადგილებზეც მოსკოველები აღმოჩნდნენ: ფ. სიმაშოვი (1:39.37), ა. აკენტიევი (1:39.38) და ვედენინი. V ადგილი მოულოდნელად დაიკავა ახალგაზრდა მოთხილამურემ ი. ჩარკოვსკიმ (კამჩატკის პეტროპავლოვსკი).

ტერსკოლში სპარტაკიადის მონაწილე სამთომოთხილამურეები ასპარეზობდნენ. პროგრამის ბოლო სახეობა სწრაფდაშვება იყო. მონაწილენი სტარტს ზედ ჩეგეტის წვერზე იღებდნენ (ტრასის სიგრძე — 3470 მ, სიმაღლეთა სხვაობა — 1022 მ). საუკეთესო დრო აჩვენა მურმანსკის ოლქის წარმომადგენელმა ვ. მელნიკოვმა — 2.47,5. II ადგილზეა მოსკოველი ა. ტორმოსინი, III — ვ. ბელიაკოვი (მოსკოვის ოლქი).

# 20.45

◆ ნიუკასლი, 2 მარტი. თავისი ავსტრალიური ტურნეს მეოთხე მატჩში მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდმა აქ ანგარიშით 6:1 (2:0) დაამარცხა ახალი სამხრეთ უელსის შტატის ნაკრები. ბურთები გაიტანეს: კოზლოვმა (2), ანიჩკინმა, ევრიუჟიხინმა, ლარინმა და ეშტრეკოვმა.

◆ სოფია, 2 მარტი. ბულგარეთის დედაქალაქის მახლობლად გამართულ ტრადიციულ კროსში, რომელშიც სსრ კავშირის, გდრ-ის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და ბულგარეთის მეგობრული არმიების მძლეოსნები მონაწილეობდნენ, ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა სვერდლოვსკელმა ა. მაკაროვმა (7600 მ — 20.50). საბჭოთა კროსმენებმა გუნდურ ჩათვლაშიც იმარჯვეს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ

კალათბურთი. სპორტის სასახლე. სსრ კავშირის პირველობა „ა" კლასის ვაჟთა გუნდებს შორის. დღეს: 10 ს. ცსკა — „ლოკომოტივი", 11.45. ასკ (რიგა) — „სპარტაკი", 15.00. ასკ (კიევი) — „ჟალგირისი", 16.45. „სტროიტელი" — „დინამო" (მოსკოვი), 18.30. „კალევი" (ტარტუ) — „ბურევესტნიკი" (თბილისი), 20.15. „ურალმაში" — „დინამო" (თბილისი).

ტანვარჯიში. თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური სპეციალიზებული ტანვარჯიშული სკოლის დარბაზი (პეტრიაშვილის ქ. № 7). 3-6 მარტი. საქართველოს თასის გათამაშება. დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 03168